დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, სანდრო ეულის №5-ში ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სანდრო ეულის №5-ში ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი მუშავდება შპს "არტპროექტი"-ს მიერ.

საპროექტო შენობის სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 0.73 კპა

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 0.50 კპა

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, რომელიც ჩატარებულია შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო კვლევების განყოფილების მიერ, საძირკვლის ფუძედ მიღებულია IV სბმ – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები, წარმოდგენილი თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობით.

შენობის მზიდი კონსტრუქციების სივრცითი მოდელი გაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსი "Lira-Windows"-ის 9.6 ვერსიის საშუალებით, ანგარიში შესრულებულია სამშენებლო მოედნის გეოფიზიკურ კვლევაზე დაყრდნობით შერჩეული საანგარიშო აქსელეროგრამების პაკეტის გამოყენებით.

კომპიუტერული ანგარიშის მიხედვით, საპროექტო შენობის დაფუძნება ხდება ძირითად ქანებზე (IV სბმ) ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯებით, ქანში შესვლით არანაკლებ 0.5 მ-ისა, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ შენობიდან მოსული ყველა საანგარიშო დატვირთვა (სტატიკური და არასტატიკური) საყრდენი ხიმინჯების საშუალებით გადაეცემა ძირითად ქანებს, შესაბამისად საპროექტო შენობიდან მოსული დატვირთვები ვერანაირად ვერ იმოქმედებს მომიჯნავედ არსებულ შენობებზე, მიუხედავად მათი დაფუძნების პირობებისა (წერტილოვანი საძირკვლები, ურთიერთგადამკვეთი საძირკვლის კოჭები, ერთიანი მონოლითური ფილა და ა. შ.) და საძირკვლების ჩაღრმავებისა.

შპს "არტპროექტი"-ს დირექტორი ბიძინა ჯუგაშვილი